ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7520701

ნომერი: AR1227859

თარიღი : 10.06.2014

გაცემის თარიღი : 18.06.2025

გაცნობის თარიღი : 25.06.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

წინამძღვრიშვილის ქ.186;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გრიგოლ ქურიძე პ/ნ 01011061220
- თბილისი გ.ონაშვილის ქ. კორ. 9 ბ. 26

ნომენკლატურა :

- აშენებული
- შენობის ნაწილები - კარი, ფანჯარა, კიბე, სამერცხლული
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3ბ/678-20) აღსრულების ფარგლებში, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ დამატებით წარმოსადგენია:

1. მოთხოვნის შინაარსი: დაზუსტდეს და განიმარტოს არსებულია კარი და ფანჯრები თუ უნებართვოდ მოწყობილი (ვინაიდან ნომენკლატურა უნებართვო მშენებლობაზეა, მოთხოვნის ტექსტი კი „არსებულ კარების და ფანჯრების ღიობებზე“);
2. ობიექტის აზომვითი ნახაზი: წარმოსადგენია ობიექტის არქიტექტურული პროექტი - დღეის მდგომარეობით (2025 წ.) მდგომარეობით შესრულებული, ღერძის ხაზების დატანით, სალეგალიზებო ღიობების გეგმაზეც დაფიქსირებით, შენიშვნის „გეგმა შესრულებულია ფართის შიდა აზომვისა და დამკვეთის მოქ. შალვა ჯალაღონიას მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით“ გარეშე შესრულებული (რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით მომზადებული პროექტი);
3. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები: სალეგალიზებოდ მოთხოვნილი ღიობების დღეს არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები პანორამული ხედებით;
4. ძირითადი შენობის (სადაც მოთხოვნილია ღიობების ლეგალიზება) კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება: წარმოსადგენია შპს „საქსპეცშახტომონტაჟის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 201954402) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გრიგოლ ქურიძის (პირადი N01011061220) სახელზე წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ განმცხადებელს ნამდვილად ხელეწიფება შპს „საქსპეცშახტომონტაჟის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 201954402) სახელით მომართოს საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს ლეგალიზება (მინდობილობაში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად) (შენიშვნა: მოთხოვნა დაყენებულია გრიგოლ ქურიძის (პირადი N01011061220) მიერ, რომლის უფლებამოსილების დასტურადაც წარმოდგენილი მინდობილობა არ არის მისაღები და არ არის შესაბამისი შემდეგი მიზეზ-გარემოებანის გამო, კერძოდ:

ა) გრიგოლ ქურიძის (პირადი N01011061220) უფლებამოსილების დასტურად წარმოდგენილ მინდობილობას ძალმოსილების ვადა სრულად ამოეწურა 2012 წლის დასრულებისთანავე და დღეის მდგომარეობით ზემოხსენებული ფიზიკური პირი აღარ არის უფლებამოსილი განმცხადებელი.

ბ) მინდობილობა გაცემულია შალვა ჯალაღონიას (პირადი N01024057494) მიერ, რომელიც დღეის მდგომარეობით არ არის შპს „საქსპეცშახტომონტაჟი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 201954402) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;

6. N01.13.07.023.059 მიწის ნაკვეთის ერთ-ერთი თანამესაკუთრის ლელა ჯალაღონიას (პირადი N01024028640) მიერ წერილობით გაცემული და სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „საქსპეცშახტომონტაჟის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 201954402) მოთხოვნა და განახორციელოს ლეგალიზება (მინდობილობაში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად);

თქვენ გეძლევათ 30 სამუშაო დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.